

ენათმეცნიერება Linguistic

იტალიურ-ქართული ლიტერატურული დიალოგის პრობლემები

მაია ტურაბელიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

e-mail: maia.turabelidze@libero.it

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.05>

SJIF 2025: 8.584

სტატიაში განხილულია თარგმანი როგორც კულტურულ-სემიოტიკური პროცესი, რომელიც სცილდება მხოლოდ ლინგვისტურ გადატანას და ქმნის დიალოგს ორ განსხვავებულ კულტურას შორის. იტალიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია შუა საუკუნეებიდან დღემდე სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა: რელიგიურ-საეკლესიო კონტაქტებიდან, ჰუმანიზმისა და აღორძინების ეპოქის ირიბი გავლენებით დაწყებული, XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობების პარალელურად გაგრძელებული და საბჭოთა პერიოდით დასრულებული, როდესაც თარგმნა იდეოლოგიურად კონტროლდებოდა. დამოუკიდებლობის შემდეგ კი ურთიერთობები უფრო მრავალფეროვანი გახდა, თუმცა კვლავ რჩება პრობლემები თარგმანის ხარისხისა ეროვნული კოლორიტის გადმოცემისას.

ავტორი გამოყოფს ლიტერატურული თარგმნის მთავარ სირთულეებს: სტილისტური მრავალფეროვნების, ტექსტის რიტმულობის, ინტერტექსტუალური მინიშნებებისა და კულტურული რეალიების გადმოტანის პრობლემას. განსაკუთრებულად რთულია იტალიური ფრაზეოლოგიის, სოციალური კოდეებისა და ირონიის ადეკვატური გადმოცემა ქართულში. წარმატებული თარგმნის წინაპირობად სახელდება ტექსტლინგვისტური ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ჟანრს, სტილს, დისკურსს და ემოციურ ნიუანსებს.

პირადი გამოცდილებიდან ავტორი აღწერს იტალიელი მწერლების – ბრანკატის, კალვინოს, მარაინის, ბუცატის, ამანიტის – თარგმნისას გამოვლენილ სირთულეებსა და შესაბამის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, აყალიბებს რეკომენდაციას – ინტერდისციპლინარული

მთარგმნელობითი ლაბორატორიების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმატებულ კულტურათა დიალოგს ადამიანების დ აკავშირების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული თარგმანი, სტილისტური მრავალფეროვნება, ტექსტის რიტმულობა, ინტერტექსტუალური მინიშნებები, კულტურული რეალიების გადმოტანა.

თარგმანი როგორც კულტურულ-საინტერპრეტაციო პრაქტიკა. თანამედროვე თარგმნის თეორიამ მნიშვნელოვნად გადააფასა ტრადიციული ხედვები მთარგმნელის როლზე. თარგმნა არ არის მხოლოდ ლინგვისტური გადატანა, არამედ კულტურულ-სემიოტიკური აქტი, რომელიც ორ განსხვავებულ კულტურას შორის დიალოგს ქმნის. მთარგმნელი, როგორც შუამავალი, მხოლოდ ენების ცოდნით არ შემოიფარგლება, ის ქმნის კულტურული აზრის ხიდს ორ ტრადიციას შორის.

იტალიურ-ქართულ დიალოგზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კულტურული კონტექსტის ღრმა ინტერპრეტაცია. იტალიური ლიტერატურის მდიდარი ლექსიკის, ისტორიული ფენების, ლიტერატურული ტრადიციებისა და ინტერტექსტუალური განზომილებების ქართულ კონტექსტში გადატანა საჭიროებს არა მხოლოდ ენობრივ, არამედ კულტურულ ადაპტაციასაც.

ისტორიული კონტექსტი: იტალიურ-ქართული ლიტერატურული კავშირების **ქრონოლოგია**. იტალიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა იწყება შორეული ისტორიული პერიოდიდან, თუმცა რეალური კონტაქტები ლიტერატურის დონეზე შედარებით გვიან შემუშავდა. მიუხედავად ამისა, ორივე ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში იზიარებდა ზოგად ევროპულ სულიერ და კულტურულ ტრადიციებს — ქრისტიანობით დაწყებული, ჰუმანიზმითა და აღორძინებით დასრულებული.

შუა საუკუნეები და რელიგიური პარალელები. შუა საუკუნეებში ქართულ და იტალიურ კულტურებს შორის ურთიერთობები, ძირითადად, რელიგიურ-საეკლესიო კავშირებს ეფუძნებოდა — საქართველოდან საეკლესიო პირები დასავლეთ ევროპაში მოგზაურობდნენ; ლათინურენოვანი ტექსტები კი, ბიბლიური და ზოგადად თეოლოგიური შინაარსის, ქართულად ითარგმნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში პირდაპირი ლიტერატურული გავლენები მწირი იყო, ერთგვარი კულტურულ-რელიგიური სულიერი საფუძველი მაინც იქმნებოდა.

აღორძინებისა და ჰუმანიზმის ეპოქა — ქვეცნობიერი დიალოგი. იტალიის ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქამ მთელი ევროპული სივრცე ახალი ცნებებით

დაახლოვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის იტალიური ლიტერატურის ნიმუშები ქართულად არ ითარგმნებოდა, ქართული საგანმანათლებლო ელიტა ირიბად მაინც ეცნობოდა ამ მიმდინარეობებს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ან სხვა შუალედურ ენებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია დანტე ალიგიერის, პეტრარკასა და ბოკაჩოს შემოქმედება, რომელთა ნაწარმოებები XIX საუკუნეში უკვე აქტიურად ითარგმნებოდა რუსულად, რაც ქართული კულტურის ერთ-ერთი წყარო იყო.

XIX საუკუნე და ეროვნული აღორძინება. XIX საუკუნის II ნახევარში, ქართულ ლიტერატურაში შეინიშნება ევროპული, კერძოდ, იტალიური იდეების გავლენა, რაც ეროვნული თვითშეგნების პროცესთან არის დაკავშირებული. ქართველ მოღვაწეებში იტალიის პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა (რიზორჯიმენტო) აღფრთოვანებას იწვევდა, რადგან პარალელურს ჰპოვებდნენ დაყოფილი საქართველოს მდგომარეობასთან. ამ პერიოდში უკვე ფიქსირდება ცალკეული თარგმანები იტალიური ენიდან, თუმცა კვლავ რუსულის გავლით. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" ცალკეული მონაკვეთების შემოტანა ქართულ ლიტერატურულ ცნობიერებაში.

საბჭოთა ეპოქა და სახელმწიფო კონტროლირებადი თარგმნა. საბჭოთა პერიოდში ლიტერატურული დიალოგი ინსტიტუციური, თუმცა მკაცრად იდეოლოგიზებული ფორმით განვითარდა. იტალიური ლიტერატურა — განსაკუთრებით რეალისტი და ანტიფაშისტი ავტორები — ითარგმნებოდა და პოპულარიზირდებოდა, ქართული ლიტერატურის იტალიურ სივრცეში შესვლის მცდელობები კი იშვიათი იყო. აღსანიშნავია, მაგალითად, იტალიური ენაზე პაოლო იაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის ცალკეული ტექსტების არსებობა, თუმცა დიალოგი ისევ ერთმხრივი რჩებოდა და არ იყო სისტემურად გამართული.

დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი — ახალი შესაძლებლობები. 1990-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ლიტერატურული კავშირები ნელ-ნელა მრავალფეროვანი გახდა. დამოუკიდებელი გამომცემლობები და კულტურული ორგანიზაციები იწყებენ თანამშრომლობას იტალიელ კოლეგებთან. ბოლო წლებში ჩატარდა არაერთი ფესტივალი, ლიტერატურული პრეზენტაცია და თარგმნითი პროექტი, თუმცა პრობლემების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ძალაში რჩება, თარგმანის ხარისხის, მკითხველის დაინტერესებისა და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ძირითადი პრობლემები ლიტერატურულ თარგმანში. ლიტერატურული თარგმანის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ტექსტის ესთეტიკური და სემანტიკური

მთლიანობის შენარჩუნებაა. ჩემი პრაქტიკისა და კვლევის ფარგლებში გამოვყავი რამდენიმე ძირითადი სირთულე, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია იტალიური ლიტერატურის თარგმნისას. ესენია:

სტილისტური მრავალფეროვნება – იტალიური ლიტერატურა ხშირად იყენებს მრავალსიტყვიან რთულად შედგენილ წინადადებებს, მეტაფორებსა და კულტურულად დატვირთულ გამოხატვებს, რაც პირდაპირ ქართულ ენაზე ვერ გადმოიცემა სტილისტური სიმბოლისის გარეშე.

ტექსტის მუსიკალურობა და რიტმიკა – ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეზიისა და პროზაული ტექსტებისთვის, სადაც ხმა, რიტმი და ინტონაცია სემანტიკურ როლს ასრულებს.

ინტერტექსტუალობა – იტალიური ლიტერატურა ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპული კულტურის კლასიკურ ფენებთან. ამ მინიშნებებისა და ციტატების გადმოტანა ქართულ სივრცეში ხშირად საჭიროებს დამატებით კულტურულ კომუნიკაციას.

ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემები. იტალიური ენიდან ქართულად თარგმნისას ხშირად ვაწყდები ლინგვოკულტუროლოგიურ სირთულეებს, როდესაც ერთი ენისა და კულტურის ნიშანი არავითარ პარალელს არ პოულობს მეორეში. მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო კულტურული რეალიები და კონცეპტები, იტალიური კულტურისთვის დამახასიათებელი სოცოკულტურული ტერმინები, როგორიცაა: *Tutto il mondo è paese* - მთელი სამყარო ქვეყანაა ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ ცხოვრებისეული პრობლემები ყველგან გვხვდება, *Bella figura* - ლამაზი ფიგურა, ეს ნიშნავს ვინმეზე კარგი შთაბეჭდილების დატოვებას, *Anni di Piombo* - ტყვიის წლები, ეს კი განმარტავს იტალიის პოლიტიკური არასტაბილურობისა და ტერორიზმის პერიოდს 1960-80-იან წლებში. მსგავსი გამონათქვამები ხშირად ვერ იღებს ზუსტ ანალოგს ქართულში და საჭიროებს აღწერით თარგმანს ან ადეკვატურ ეკვივალენტობას.

გენდერული როლი და სოციალური კოდები – იტალიური ტექსტები ხშირად ასახავენ იმ სოციალურ ნორმებსა და კულტურულ მახასიათებლებს, რომლებიც განსხვავდება ქართული კულტურისგან და მოითხოვს მკითხველზე მორგებულ ინტერპრეტაციას.

ნარატიული ტონალობა და ირონია – იტალიური ლიტერატურა ხშირად იყენებს დახვეწილ იუმორსა და ირონიას, რომელიც კონტექსტის გარეშე იკარგება და საჭიროებს დამატებით კულტურულ ახსნას ან ტექსტის სტრუქტურულ გადამუშავებას.

ტექსტის ლინგვისტური ანალიზის აუცილებლობა. წარმატებული თარგმანის საფუძველი ყოველთვის ტექსტილინგვისტური ანალიზია. ეს მოიცავს:

- ტექსტის ჟანრულ-სტილისტური მახასიათებლების იდენტიფიცირებას;
- ავტორისეული სტილისტიკის, რიტორიკისა და დისკურსის გათვალისწინებას;
- ტექსტის დინამიკისა და სემანტიკური სტრუქტურების გაგებას.

მაგალითად, ჩემ მიერ თარგმნილ და ლიტერატურულ ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ დაბეჭდილ, იტალიელი მწერლის ელზა მორანტეს მოთხრობაში „დეიდაშვილი ვენანციო“ („Il cugino Venanzio“), ავტორის მიერ არჩეული მარტივი სტილი ცხოვრებისეული ტრაგიზმის ფონზე განსაკუთრებულ ესთეტიკურ ეფექტს ქმნის. ამ სტილისტური პარადოქსის ქართულად გადმოტანა მხოლოდ ტექსტის ზედაპირული თარგმანით არ ხერხდება, მთარგმნელის მიერ საჭიროა ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს დისკურსის ემოციური ნიუანსების შენარჩუნებას.

კონკრეტული მაგალითები პირადი გამოცდილებიდან. ჩემი პროფესიული გამოცდილება მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მუშაობას თანამედროვე და კლასიკური იტალიური ლიტერატურის თარგმნაში. მიმუშავია ისეთი მნიშვნელოვანი ავტორების ნაწარმოებებზე, როგორებიც არიან ვიტალიანო ბრანკატი, იტალო კალვინო, დაჩა მარაინი, დინო ბუცატი, ნიკოლო ამანიტი და სხვ. თითოეულ მათგანთან მუშაობის პროცესში გამოვლინდა განსხვავებული თარგმნის სტრატეგიული საჭიროებები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ლიტერატურულ კომპლექსურობას.

ზოგჯერ ერთი წინადადება იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე მთელი აზრები. ტექსტების თარგმნისას სირთულე სიჩუმის, პაუზისა და შინაგანი ინტონაციის გადმოცემაა, რასაც შეიძლება ქართულ ენაში პირდაპირი განმეორება არ ჰქონდეს. ამ დროს ტექსტის სინტაქსურ რედუქციას ვაკეთებ ხოლმე, რაც ქართველ მკითხველს ავტორის ჩანაფიქრს უკეთ მიახვედრებს და ინტერესს არ დააკარგვინებს.

პრაქტიკული საქმიანობისას რამდენიმე მაგალითი განსაკუთრებით დამამახსოვრდა:

ვიტალიანო ბრანკატის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ფაშიზმის ეპოქის ირონიული და სატირული შრე, რაც ქართულ რეალობაში მექანიკურად არ გადმოდის. საჭირო გახდა ისტორიული ალუზიების გაშლა და ფაქიზი ინტერპრეტაცია მკითხველზე მორგებული ფორმით.

იტალო კალვინოს შემოქმედებაში პოსტმოდერნისტული სტილისტიკა, ინტერტექსტუალობა და მეტათხრობა ქმნის სირთულეს თარგმნისას, განსაკუთრებით ნაწარმოებებში „ამბავი ერთი ბეცისა“ და „ამბავი ერთი მკითხველისა“, რომლებიც

ლიტერატურულ ჟურნალ „აფრაში“ დაიბეჭდა. აქ თარგმნის პროცესი ეჯახება არალინეარულ ნარატივსა და მრავალგზის ხმა-პერსპექტივას, რაც ქართულ ენაში მხოლოდ ტექსტის სტრუქტურულად გადახედვის გზით შეიძლება გადმოიცეს.

დაჩა მარაინის ფემინისტური პროზა და დრამატურგია საჭიროებს კულტურული კონტექსტების სიღრმისეულ გააზრებას, რადგან ქალის სახე იტალიურ კულტურულ სისტემაში ხშირად განსხვავდება ქართველი საზოგადოების მიერ აღქმულისაგან. თარგმნისას საჭიროდ ჩავთვალე ინტრატექსტუალური მინიშნებების კონტექსტუალიზაცია.

დინო ბუცატის მოთხრობებში რეალობისა და ფანტასტიკის შეჯახება ქმნის განსაკუთრებულ ატმოსფეროს, რომელთა ქართულად გადმოსაცემად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიტყვათა შერჩევა, არამედ ნარატივის რიტმის შენარჩუნება. მოთხრობების „ძალი, რომელმაც ღმერთი ნახა“ და „გაფიცვა სატელეფონო სადგურში“ თარგმნისას ეს პრობლემა მკაფიოდ გამოვლინდა.

ნიკოლო ამანიტი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწერალია. მისი ენა კომბინირებულია ახალგაზრდულ სლენგთან, პოპულარულ კულტურასთან, მჭიდრო სოციალურ რეალიებთან. ამ სტილში ნავიგაცია ქართულად მხოლოდ თანამედროვე ენობრივი ფორმების ოსტატურად შერჩევით გახდა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ გარდა იტალიელი ავტორებისა, მიმუშავია ქართველი ავტორების, კერძოდ სალომე გოგოლაძის ტექსტის თარგმნაზე, ქართულიდან იტალიურად, რაც გულისხმობდა რეციპიენტისთვის სრულიად უცხო სოციალური და ფსიქოლოგიური ფენების ადაპტირებას.

ეს პრაქტიკული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ლიტერატურული თარგმანი არის არა მხოლოდ ორენოვანი გადმოსახედიდან მუშაობა, არამედ მუდმივი კულტურულ-სემიოტიკური მოლაპარაკება ორ ცივილიზაციას შორის.

კვლევის მიზნები და რეკომენდაციები. იტალიასა და შვეიცარიაში გატარებულმა კვლევითმა სტაჟირებამ, მთარგმნელებთან, ლიტერატორებსა და პედაგოგებთან საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მთარგმნელის პროფესია დღეს მოითხოვს:

კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარებას;

ორენოვანი ლიტერატურული ინსტინქტის ფორმირებას;

თარგმანის ეთიკისა და ავტორიტეტული ინტერპრეტაციის დაბალანსებას.

ჩემი რეკომენდაცია კი ქართული უნივერსიტეტებისთვის შემდეგია:

1. შეიქმნას მულტიდისციპლინური თარგმნის ლაბორატორიები, სადაც თარგმნა გათვალისწინებული იქნება როგორც კრეატიული პრაქტიკა, და არა მხოლოდ ლინგვისტური პროცესი;

2. თარგმნის პროცესში ჩართული იყოს რედაქტორთა გუნდი, რომელიც ორი ენისა და კულტურის ექსპერტებისგან იქნება შემდგარი.

3. მეტი სტრუქტურული მხარდაჭერა გამოვლინდეს ლიტერატურული ურთიერთგაცვლისა და თანამშრომლობისთვის, როგორც აკადემიურ, ისე საგამომცემლო სივრცეში.

დასკვნა. იტალიურ-ქართული ლიტერატურული დიალოგი მოითხოვს მუდმივ დაკვირვებას, კულტურული საზღვრების გაფართოებასა და განვითარებას. მთარგმნელი ამ დიალოგის კრიტიკული ფიგურაა, რომელიც ქმნის ახალ სინთეზს ორ კულტურას შორის.

თარგმანი უნდა დარჩეს იმედის სივრცედ, სადაც სიტყვები არა მხოლოდ ენიდან ენაში, არამედ ადამიანიდან ადამიანამდე გადაინაცვლებს.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ბუცატი დინო, „ძალი, რომელმაც ღმერთი ნახა“, მთარგმნელი მაია ტურაბელიძე, ლიტერატურული ჟურნალი „ახალი საუნჯე“, 2020 წ.
2. გოგოლაძე სალომე, „Un destino portato dal vento (Ricordi di una moglie lupo“, მთარგმნელი მაია ტურაბელიძე, ქალაქ ბარის ყოველდღიური გაზეთი „Quotidiano di Bari“, თებერვალი, 2020 წ.
3. არომიძე მარინე, არომიძე ნინო, „თარგმნის თეორიის საფუძვლები“, ბსუ, რიდერი, 2022 წ.
4. ოშიაძე სალომე, „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, თბილისი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2006 წ.
5. ქავთარაძე ნინო, „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, 2012 წ.
6. ღაღანიძე ნაირა, „თარგმნის კულტუროლოგიური ასპექტები“, ფილოლოგიის კვლევები, 2018 წ.
7. Buzzati Dino, „Il cane che ha visto Dio“, Milano, Mondadori, 1950.
8. Gogoladze Salomé, „Un destino portato dal vento“, „Quotidiano di Bari“, 2020.
9. Mounin Georges, „Teoria e storia della traduzione“. Torino, Einaudi, 1990..
10. Umberto Eco, „Dire quasi la stessa cosa: Esperienze di traduzione“. Milano, Bompiani, 2003.

საერთაშორისო თეორიული წყაროები:

1. Bassnett Susan, „Translation Studies. 4th ed“, London, Routledge, 2013.
2. Jakobson Roman, “On Linguistic Aspects of Translation”, „On Translation, edited by Reuben Brower, Harvard University Press, 1959, pp. 232–239.
3. Venuti Lawrence, „The Translator’s Invisibility: A History of Translation“. London, Routledge, 1995.

Maia TurabelidzeShota Rustaveli Batumi State University
Batumi, Georgiae-mail: maia.turabelidze@libero.it<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.05>**SJIF 2025: 8.584****Problems of the Italian-Georgian Literary Dialogue****Abstract**

The article discusses translation as a cultural and semiotic process that goes beyond mere linguistic transfer and creates a dialogue between two different cultures. The history of Italian-Georgian literary relations has developed in various forms from the Middle Ages to the present: from religious and ecclesiastical contacts, through the indirect influences of Humanism and the Renaissance, followed by parallels with the national movements of the nineteenth century, and culminating in the Soviet period, when translation was ideologically controlled. After the restoration of independence, these relations became more diverse; however, problems still persist in terms of translation quality and the transmission of national color.

The author identifies the main challenges of literary translation: the rendering of stylistic diversity, textual rhythm, intertextual references, and cultural realia. Particularly difficult is the adequate transfer of Italian phraseology, social codes, and irony into Georgian. Successful translation presupposes text-linguistic analysis that takes into account genre, style, discourse, and emotional nuances.

Drawing on personal experience, the author describes the difficulties encountered in translating Italian writers such as Brancati, Calvino, Maraini, Buzzati, and Ammaniti, and outlines the

corresponding strategies. She concludes with a recommendation: the establishment of interdisciplinary translation laboratories that would facilitate a fruitful dialogue between cultures and foster human connection.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე